სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/51

ქ. თბილისი

25 სექტემბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 16 სექტემბრის №6 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის №01-05-04/154 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 25 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-17 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტს დაემატოს „თ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების აკადემიური დეპარტამენტი.“;

ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია;

დ) აკად. თ. ლოლაძის სახელობის ალმასებისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრი.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**